



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰეში საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აბჰისტი  
(აბი)  
№8 (394)  
(5774)  
2014

“הנורה”

עיתון יהודי

בגוריה

### საქართველოს მთავრობა ისრაელს სოლიდარობას უცხადებს!



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო დარტყმების გამო და სოლიდარობას უცხადებს ისრაელის მოქალაქეებს. მთავრობა ასევე მწუხარებას გამოთქვამს ღაზის სექტორში დაპირისპირების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი გარეშე საფრთხისგან და მხარს უჭერს ისრაელის უფლებას დაიცვას საკუთარი ქვეყანა, მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება. იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული კონფლიქტის შემდგომი გაღრმავება და უდანაშაულო ადამიანების დაღუპვა, საქართველოს მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად მოუწოდებს დაპირისპირებულ მხარეებს მოახდინონ სიტუაციის დეესკალაცია. საქართველოს მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს ხანში შეწყდება ცეცხლი და დაპირისპირებულ მხარეებს შორის განახლდება სამშვიდობო მოლაპარაკებები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ვითარების სტაბილიზაციას.

### მადლობა

საქართველოს მთავრობამ და ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. დაახლოებით ათი წლის წინ ისრაელი ღაზიდან გამოვიდა. იოლი გადარჩევნილება არ იყო, მაგრამ ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგით. „ჰამასის“ მიერ კონტროლირებადი ღაზის სექტორიდან პასუხად ათასობით რაკეტა მივიღეთ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ქალაქებისა და მოქალაქეებისკენ იყო მომართული. ისევე როგორც ადრე, ისრაელს ახლაც ესაჭიროება თავდაცვა. ნებისმიერი მთავრობის მსგავსად, ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი ჭურვებისგან და „ჰამასის“ რაკეტების არეალში მყოფი მილიონობით ადამიანი გადაარჩინოს. მე პატივს ვცემ და ვაფასებ საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სოლიდარობას ისრაელის მიმართ. მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა პრემიერ ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობის თითოეულ წევრს იმ ნუხილისთვის, რომელსაც ისრაელში არსებული სიტუაციის გამო გამოთქვამენ და სრული გაზიარებისთვის იმ ფაქტისა, რომ ისრაელს თავდაცვის უფლება აქვს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთი წერილი მივიღე მთავრობის წევრებისა და მეგობრებისგან, რომლებიც ნუხილითა და სოლიდარობით იყო სავსე. უღრმესი მადლობა.

იუჰალ ფუქსი,  
ისრაელის ელჩი საქართველოში

### ისრაელის მათი პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა ფიცის დადო

რეუვენ რივლინისა და პარლამენტის სპიკერის იული ედელ-შტეინის წინასწარი შეთანხმებით, საომარი მდგომარეობის გამო, პრეზიდენტის ინაუგურაცია ერთობ მოკრძალებულად ჩატარდა. არ გამართულა ტრადიციული ბანკეტი, არც უცხოელი სტუმრები მოუწვევიათ, თუმცა ზოგიერთი პარლამენტარის მოუსვლელი არ გახლდათ ადრევე გათვალისწინებული — ისრაელის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე არ გამოცხადდნენ არაბი დეპუტატები.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა ჯერ საპატიო ყარაულს ჩამოუარა, შემდეგ პრეზიდენტ მიმონ პერესთან, პრემიერ ბინიამინ ნეთანიაჰუსთან და პარლამენტში ოპოზიციის ლიდერთან იცხაკ ჰერცოგთან ერთად საზეიმო მიღებას დაესწრო. მიმონ პერესმა პარლამენტში თავის უკანასკნელ სიტყვაში თქვა:

— მე კვლავაც განვაგრძობ ამ მცირერიცხოვანი ქვეყნის — დიდი სახელმწიფოს სამსახურს.

რეუვენ რივლინი:

— დღეს ჩვენ აქ მხოლოდ იმისათვის არ შევიკრიბეთ, რომ ამას თხოულობს კანონი, იმისათვისაც, რომ ჩვენს მტრებს ვუთხრათ: ვერც ვერასოდეს დაგიძლევივართ. ვერც ვერასოდეს გვძლევთ ჩვენ.

ნაკითხული იქნა ფიცის ტექსტი, რის შემდეგაც გაისმა ისრაელის სახელმწიფოს ჰიმნი.

მიმონ პერესმა 25 აგვისტოს დაცალა პრეზიდენტის სასახლე და თელ-ავივში თავის სამოთახიან ბინას დაუბრუნდა.



### ტრაგიკის მარადიული განცდა



ებრაული კალენდრით 9 აბი — წელს ეს თარიღი 5 აგვისტოს ემთხვევა ყველაზე ტრაგიკული დღეა ებრაელი ხალხის ისტორიაში — ამ დღეს იქნა აოხრებული ტაძარი, ნაბუქოდონოსერის ურდობმა იერუსალიმი ნანგრევებად აქციეს, ამავე დღეს საუკუნეების შემდეგ, რომაელებმა ცეცხლს მისცეს იერუსალიმი, ქალაქი გადახნეს. ტურა ჩხაოდაო ნაქალაქარზე. ტაძრის ერთი გადარჩენილი — გოდების კედელი იმ ტრაგიკული დღეების ნაშთია. ლეგენდა ამბობს, ღმერთმა რა იხილა, თუ როგორ იწვოდა უფლის სახლი, ცრემლი წამოსცვივდა, სწორედ იმ ცრემლმა ჩააქროო ხანძარი და ამით გადარჩა ტაძრის დასავლეთი — გოდების კედელი. 9 აბს დაემთხვა კიდევ ერთი ტრაგიკული დღე — ესპანეთიდან ებრაელთა გამოძევება.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურმა გერმანიამ 6 მილიონი ებრაელი განყვიტა, ებრაელობა მაინც ამდენი საუკუნეა პირველი და მეორე ტაძრის დანგრევის დღეს გლოვობს. ეს იმიტომ რომ ტაძარი სულიერი ცხოვრების სიმბოლო გახლდათ, ებრაელობა კი სულიერების ერია — მას მტრებმა — არაბებმა უწოდეს წიგნის ხალხი. სულიერებით მოვიდნენ დღემდე და კვლავ სულიერებით განაგრძობენ გზას მომავლისაკენ.

ტრადიციის მიხედვით, ცხრა აბის — გლოვის დღეს, ქართველი ებრაელობა ახლობელთა საფლავებზე მიდის.



ისრაელში წარმატებით ჩატარდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ღვაწლი უსუფაშვილის ვიზიტი

დავით უსუფაშვილი ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარეს შეხვდა

ისრაელის სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ქნესეთის თავმჯდომარეს, იული-იოელ ედელშტიინს შეხვდა.

ქნესეთის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილს, არსებული ვითარების მიუხედავად, ისრაელში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე უსაფრთხოების საკითხებზე, ისრაელში მიმდინარე პროცესებსა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. შეთანხმდნენ საპარლამენტო დონეზე ურთიერთობების განვითარებისა და საპარლამენტო კომიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესახებაც. ქნესეთის თავმჯდომარის განცხადებით, ქართული დელეგაციის ვიზიტი ისრაელში ორ ერს შორის მეგობრობას კიდევ უფრო გააძლიერებს.



დავით უსუფაშვილი აბრამ მიხაელს შეხვდა



დავით უსუფაშვილი იერუსალიმში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელს შეხვდა ისრაელში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უმაღლესი დონის შეხვედრებს განაგრძობს. ამჯერად დავით უსუფაშვილი ისრაელ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელს შეხვდა.

ისრაელ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა, აბრამ მიხაელმა შეხვედრისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა ვიზიტისთვის და განაცხადა, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრობას.

შეხვედრაზე საუბარი მეგობრობის ჯგუფებსა და საპარლამენტო კომიტეტებს შორის ურთიერთობის განვითარებასაც შეეხო. მხარეებმა იმსჯელეს საპარლამენტო დონეზე ურთიერთობის გაღრმავებისთვის საჭირო ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობებზეც.

შეხვედრა ისრაელის ახლადარჩეულ პრეზიდენტთან რაუჰან რივლინთან



ისრაელის ქნესეთის სპიკერის იული-იოელ ედელშტიინის სიტყვა ქნესეთში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — დავით უსუფაშვილთან შეხვედრისას

— ქნესეთის წევრებო, მაქვს პატივი მივსალამო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს, რომელიც ისრაელში მნიშვნელოვანი ვიზიტით იმყოფება მალაქის ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში.

თქვენი ვიზიტი ისრაელში ამ მდებარე დროს არის დასტური ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული თბილი ურთიერთობებისა და ჩვენი ლიდერების მზაობისა გამყარდეს კონტაქტები ჩვენ ქვეყნებს შორის. თქვენი ნებართვით, პატივცემულო თავმჯდომარე, ბატონო უსუფაშვილო, მსურს გადავცე ჩემი მადლიერება საქართველოს პრემიერ-მინისტრს 14 ივლისს ისრაელის მოქალაქეების მიმართ ღაზადან გადმოსროლილი სარაკეტო თავდასხმისგან თავდაცვის უფლების მხარდაჭერისთვის. ქნესეთის წევრების სახელით, მსურს, აგრეთვე გამოვხატო მადლიერება თანაგრძობის გამო, რომელიც საქართველოს ლიდერებმა გამოხატეს სამი ებრაელი მოზარდის გატაცებასა და მკვლელობასთან დაკავშირებით. ჩვენ დიდი კმაყოფილებითა და სიხარულით აღვნიშნავთ მნიშვნელოვან პროგრესს საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობებში ბოლო ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე თქვენი ქვეყნის პოზიციას საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ომში.

ბატონო თავმჯდომარე, ჩვენ ორივე წარმოვადგენთ უძველეს ხალხებს, რომლებსაც აკავშირებთ მშვიდობიანი მეგობრული ურთიერთობა 2600 წლის განმავლობაში. მსურს მოგილოცოთ საქართველოს ლიდერების გადაწყვეტილება აღნიშნულ იქნას საქართველოსა და ისრაელში 2014 წლის ოქტომბერში ჩვენს ორ ხალხს შორის მეგობრობის 2600 წელი. სიახლოვე და სითბო, რომელსაც გრძობს ებრაელთა სათვისტომო საქართველოში და მეგობრული ურთიერთობა ისრაელის ქართველ ებრაელთა თემსა და საქართველოს შორის დიდი ხანია რაც იქცა სანდოობისა და სითბოს სიმბოლოდ ისრაელის საზოგადოებაში.



ჩვენი ორი ქვეყნის წინაშე დგას მსგავსი რეგიონალური გამოწვევები და საფრთხეები ექსტრემისტების

მხრიდან. მსურს ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და მალაქი შეფასება მივცე საქართველოს ძალისხმევას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ აგრეთვე მადლიერნი ვართ ბევრი ქართველი პარლამენტარის მხრიდან თანამშრომლობის გამო სხვადასხვა ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეებში, რომლის წევრებიც ვართ ორივე ქვეყანა. ამისათვისაც გიხდით მადლობას თქვენ და თქვენს დელეგაციას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ვიზიტი ჩვენს დედაქალაქში, იერუსალიმში და აგრეთვე სხვა ქალაქებში, შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს ჩვენი ურთიერთობების გამყარებაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან!

დავით უსუფაშვილი ვიზიტს აჯამებს:

— საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვიზიტი დაგეგმილი იყო დაახლოებით ორი თვის წინ. ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მოვლენები განვითარდა ისრაელში. მოგეხსენებათ სულ ახლოს მიმდინარეობს საომარი მოქმედებები ერთი მხრივ, მეორე მხრივ, საქართველოში მთავრობის სიაში ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტში გახდა ახალი პროცედურები ჩასატარებელი, მაგრამ რა თქმა უნდა, არცერთმა და არც მეორე მოვლენამ ჩვენ არც კი გვაფიქრებინა ვიზიტის გადადება, იმიტომ რომ სწორედ ამ მიმე ვითარებაში, როდესაც ჩვენს მეგობარ ისრაელის ხალხს აქვს ასეთი გასაჭირი ჩვენ უნდა ვყოფილიყავით აქ და ამიტომ ვიზიტი შედგა. ჩვენ გვექონდა შეხვედრები პარლამენტის სპიკერთან, საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფთან, ახლადარჩეულ პრეზიდენტთან, რომელიც ხვალიდან შეუდგება საქმიანობას, ოპოზიციის ლიდერებთან, გვექნება შეხვედრა საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელთან და სხვა წევრებთან და ვიტყვი, რომ ეს არის ძალიან მეგობრული, ძალიან დროული ვიზიტი ძალიან ბევრი მიმართულებით ერთხელ გამოვკვეთეთ სათანამშრომლო ასპარეზი. ოქტომბერში მოგეხსენებათ, საქართველოში იგეგმება ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის 26 საუკუნოვანი მეგობრობის აღნიშვნა კიდევ ერთხელ და ალბათ, ბევრჯერ აღვნიშნავთ ამ საუკუნის განმავლობაში. და მე ჩემი კოლეგები მეგობრობის ჯგუფიდან მოვიხვეი ამ ღონისძიებაზე. ძალიან პროდუქტიული და საინტერესო საუბარი გვექონდა პარლამენტის თავმჯდომარესთან და ახლადარჩეულ პრეზიდენტთან, რომელიც მანამდე ორჯერ იყო პარლამენტის სპიკერი, იყო მინისტრი. არის უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსი. ჩვენ ასეთი მეგობრებისგან და კოლეგებისგან ცხადია, გვჭირდება მხარდაჭერა და როცა მათ სჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა ჩვენ უნდა ეს გავაკეთოთ და ამას ვაკეთებთ. რა თქმა უნდა, ის მსხვერპლი, რაც მოჰყვება საომარ მოქმედებებს არის ძალიან მძიმე, მაგრამ უნდა მოგვარდეს ამ პრობლემის სათავე და ისრაელმა და ყველა კეთილი ნების ადამიანმა ამას ხელი უნდა შეუწყოს. ჩვენ, საქართველო, ჩვენი მხრიდან ცხადია, ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. თვითონ ებრაელებს ვეცყოდი იმას, რომ ამ ვიზიტის დროს ხშირად მიხდებოდა საკუთარი თავისთვის შესხენება, რომ ქარ ვარ საქართველოში. იმიტომ, რომ იმდენ ადამიანს შევხვდი, ვინც ქართულად მესაუბრა, საქართველოზე გვესაუბრა და არაქართველებიც კი თბილად საუბრობდნენ საქართველოზე, ეს ცხადია, პირველ რიგში ქართველი ებრაელების დამსახურებაა, რომ თავი გგონია რაღაცნაირად საკუთარ სახლში. ეს თქვენი დამსახურებაა. ქართველ ებრაელებს ვუსურვებ კარგად ყოფილეს. ამ ორი სამშობლოს ძალიან რთულ კონცეფციაში ბოლომდე ყოჩაღად გარკვევას იმიტომ, რომ არ არის ეს მარტივი, როდესაც ორი ქვეყანა არის შენთვის ასეთი ახლობელი და არის კონკურენცია ემოციის დონეზე. ეს კარგია და გისურვებთ, რომ სხვა არანაირი პრობლემა არ გქონდეთ ცხოვრებაში. მხოლოდ იმაზე იფიქროთ საქართველო უფრო გიყვართ თუ ისრაელი. ჩვენ აეროპორტშივე ვიგრძენით ის რაც ხდება აქ იმიტომ, რომ ათი წუთი არ გამოგვიშვს გარეთ. მერე გამოგვიშვს და დაგვანახეს რაკეტა, რომელიც მოფრინავდა და გვითხრეს, რომ დავიჭერთ ჩვენ ამასო, საჭაერო თავდაცვის ჯარები გაანეიტრალდნენ ამას და ერთად ვუყურებდით ჩვენ თავზე ზეცაში როგორ ხდებოდა ეს. ამას ყოველდღე უყურებს მილიონობით ადამიანი და ამას არა აქვს მნიშვნელობა რომელი რელიგიის და რომელი ეროვნებისაა. ეს რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დასრულდეს. მაგრამ ვინც ინიციატორია ამ უბედურების, მათაც საკადრისი უნდა მიეზღოს.



# ...მშვიდობა დაისადგურებს მაშინ, როცა ისინი ჩვენსაპირთ შიშვარებას თაჰიანთ შვილას

გურამ გათიაშვილი

რაკეტებისა და განგაშის სიგნალების საშინელი ხმა, ადამიანების შეშფოთებული სახეები, თავშესაფრებისაკენ გაქცეული ქალების შეკვივლება, თვალბრუნვითი ცრემლჩამდგარი გოგონას ცქერა სხვა სამყაროში მატყვევს. თბილისიდან აქ ჩამოსული ადამიანისათვის ეს გარემო, ატმოსფერო, არა მხოლოდ მოულოდნელი, დამთრგუნველიცაა და წერის სურვილს ჰკლავს. თითქოს ყველაფერი ამო გამხდარა — ასეთ გარემოში გეუფლება ფიქრი: მკვლევებად გარდაქმნილ ადამიანებს აქვთ კი უნარი ჩასწვდნენ, თუ არის მეგობრობა, სიყვარული. არსებობს მხოლოდ გადარჩენის, სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტი.

ამ ახალ, მოულოდნელ რეალობაში მოგვიანებით მაინც ჩნდება ყველაფრის ქალაქზე გადატანის სურვილი. თითქოს ვალდებული ხარ, მკითხველს უამბო ნანახი, განცდილი. ვინძლო, ათი-ოცი წლის შემდეგ, ოდესღაც ამ მოულოდნელი რეალობის მიახლოებითა აღწერამ მაინც რაღაც უთხრას ადამიანებს, რაღაც ასწავლოს, რაღაცაზე უარი ათქმევინოს. თუმცა, ისიც ვიცი, გულუბრყვილოა ეს ფიქრი — ამ გზაზე შემდგარი ადამიანები, ასე იოლად არ იცვლიან გეზს, მაგრამ მაინც...

\* \* \*

13 ივლისი, საღამო ხანი. სატელეფონო ზარი იერუსალიმიდან: — მსოფლიოს ებრაული კონგრესის ისრაელის განყოფილებიდან გირეკავთ. ხელმძღვანელს თქვენთან საუბარი სურს. გაერთებთ.

ისმის საამო მუსიკა — მელოდური, სიმშვიდის მომგვრელი. ვიცი, რომ ამ დღეებში ტერორისტული ორგანიზაცია „ხამასი“ ისრაელის ქალაქებს რაკეტებს ესვრის. ამიტომ ეს მუსიკა მამხნევებს, თითქოს იგი ჩანერილი კი არ იყოს, ახლა, ამ წუთში, იმ დარბაზში სრულდებოდა. მუსიკა უცებ წყდება: — აზაკა გამოცხადდა, რაკეტა მოდის, თავშესაფარში ჩავდივართ. დაგირეკავთ.

ამ დღეებში სიტყვა „აზაკა“ ისრაელში ყველაზე პოპულარულია და განგაშს ნიშნავს. თვალწინ წარმომიდგა იერუსალიმისაკენ როგორ მიფრინავს რაკეტა. ვინ იცის, რას დაეცემა, იუდეველთა, ქრისტიანობის, თუ მუსლიმთა დიდების რომელ ძეგლს დაანგრევს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ გაისმის ზარი. ისევ იერუსალიმიდან რეკავენ. — ისრაელში ძალიან რთული მდგომარეობაა, მსოფლიოს ებრაული კონგრესი ზეგ იწყებს ისრაელთან სოლიდარობის დღეებს. ამ გასაჭირისას ჩვენმა ძმებმა, დებმა, დედებმა, მამებმა უნდა იგრძნონ, რომ ერი ერთიანია. იქნებ, მოახერხო, ჩამოხვიდე — პაუზა, ალბათ, ჩემს პასუხს ელოდებიან — აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე, პრეზიდენტი, ყველა ვიცე-პრეზიდენტი აქ იყრიან თავს.

\* \* \*

დღევანდელ ისრაელში საქართველოს მონახულება ლამის მოდადაა ქცეული. ძალიან მოსწონთ, უყვართ საქართველოს ბუნება, ადამიანები, სამზარეულო, მთებში ხეტიალი, მერე თბილისში ბრუნდებიან და ბეით ქნესეთში (სინაგოგა) შემოსულნი ამბობენ „რა მშვენიერი ქვეყანაა, რა გულითადი ადამიანები!“ ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ... ამავე მიზეზის გამო, ბილეთის შოვნა ერთობ რთულია.

ინებება მეგობარი-ნათესავთა შემოტევა: — ახლა ისრაელში ჩასვლა როგორ შეიძლება! — ეს ძალიან საშიშია!

— უფუნურებაა!  
— არ ჩამოხვიდე!  
აი, საქართველოს პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა ჩინებული განცხადება გააკეთა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე ძალიან რთულადაა, თუნდაც იმიტომ უნდა ნავიდე, რომ საქართველოს თანადგომა ყველას ვავაგებინო:

\* \* \*

ისრაელში შექმნილი მდგომარეობა ცხადად მაშინ ვიგრძენი თელ-ავივში რომ უნდა დაეშვებოდა. თვითმფრინავი დიდხანს დაფრინავს ხმელთაშუა ზღვის თავზე. წრეს უვლის. რამდენჯერ უნდა გადმოვხედო იმ ნაოსანს თელ-ავივის სანაპიროსთან ნება-ნება რომ დაეცურავს, ან პატარა იახტას? მეათე-მეთერთმეტე წრის შემდეგ ეკიპაჟის რომელიღაც წევრი აცხადებს: — თელ-ავივის აეროპორტის გადატვირთულობის გამო, დაფრენა თხუთმეტი წუთით ყოველდება.

ვიცი, ნამიტიხვავს: „ხამასი“ რაკეტებს ბენ გურიონის აეროპორტამდე აწვდნის. რომელიმე თვითმფრინავის ჩამოგდება მისი ოცნებაა, სამგზავრო თვითმფრინავისა, მით უმეტეს. ეს ხომ მთელ მსოფლიოში წმინდა მიწის მონახულების მსურველთა შორის დათესავს პანიკას და ისრაელს იზოლაციაში მოაქცევს.

კიდევ ერთი წრე ხმელთაშუა ზღვის თავზე, მეორე, მესამე. ეკიპაჟი ისევ აცხადებს: აეროპორტის გადატვირთულობის გამო...

ვიცი, კარგად ვიცი, რა გადატვირთულიცაა აეროპორტი!.. ყოველი მგზავრი გარინდულა, ყოველი მათგანი იმ საშინელ წამზე ფიქრობს, მათს სიცოცხლეს „ხამასის“ რაკეტა რომ უქაღის.

არა, ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება! აი, ეს ნანატრი, მშობლიური დედამიწაც - ხმელეთი გამოჩნდა და ადამიანების სახეებზე ღიმილი დაინახე. ეს სიცოცხლის მიგებების ღიმილია. თვითმფრინავი ტერმინალს ადგება. რომელიღაც ყმაწვილი კომპიუტერს ჩასცქერის და დედას რუსულად ეუბნება: — გვესროდნენ.

აეროპორტის პერსონალი მშვიდად გამოიყურება: დაცვის ბიჭებს, რომელთა მოვალეობა ჩამოსულ მგზავრთა სახეებზე მათი სულიერი სანყაოს ამოკითხვაა, თუ საჭიროდ მიიჩნიეს, დოკუმენტების შემოწმება პირზე ღიმილი აწერიათ. საპასპორტო კონტროლის გოგონა მეუბნება აპარატს მივაჩერდე, ბარგიც, ჩვეულები-სამებრ, დროულად მოდის. ასე, რომ ყველაფერი რიგზეა. ეს აეროპორტის „გადატვირთულობა“, თითქოს ავი სიზმარი იყო.

\* \* \*

აჰა, იერუსალიმიც! „ხამასმა“ ოცნება აისრულა — თუ ამ სამიოდე წლის წინათ რაკეტებს სასაზღვრო ქალაქებს აწვდნდა, დღეს თელ-ავივისა და იერუსალიმსაც კი უშენს. თუმცა, იმაზე არ ფიქრობს რაკეტა მათთვის უწმინდეს „ალ აქსას“, გნებავთ, ოქროსფრად აელვარებულ მეჩეთს რომ მოხვდეს? მაცხოვრის ტაძარიც ხომ აქვია, აგერ, დავითის აკლდამა!

ერების სასახლეს გვერდი ვუქციეთ. ტაქსი მანქანებს შორის სასტუმრო „მეფე დავითისაკენ“ მძიმედ მიიკვლევს გზას. უკან მოვიტოვეთ გადასახვევი, საიდანაც ჯვრის ქართულ მონასტრამდე ერთი არბენაა. მუხლის ერთი ლაზათიანად გაშლა და მეტი არასფერი... „ხამასის“ გამოსროლილ რაკეტას რა ჭკუა აქვს, ჯვრის

ქართულ მონასტერს რომ ერთიც დაეცეს, ხომ დაკუთდა ძეგლი ქართველთა დიდებისა. ველურთა გზაზე მავალია ეს „ხამასი“! მისთვის ეს ფასეულობანი არ არსებობს, ამაზე არც უფიქრია, ვერც იფიქრებს. წერას — ებრაელობასთან ისრაელის სახელმწიფოს მოსპობის ჟინს — ისე აუტაცნია, ჯვრის მონასტერზე, მარია მაგდალინელის ეკლესიაზე, მაცხოვრის ტაძარსა, თუ, ალ აქსას მეჩეთზე ფიქრის უნარი წართმევია. მას ჰგონია, ებრაელებს ესვრის რაკეტას, სინამდვილეში ათასწლეულებს ებრძვის, მრავალსაუკუნოვან კულტურას უცხადებს ომს.

— რა უნდათ? — ვეკითხები ტაქსის მძღოლს.

მძღოლი გაოცებული მიმზერს — ეს როგორ არ იციო.

— ის უნდათ, რომ მე აქ არ ვიყო, აი. ის სახლი — მძღოლი ხელს მარცხნივ იშვერს — მაგის იყოს, ეს სახლიც — ახლა მარჯვენა მხარეზე მიუთითებს — 68 წლის კაცი ვარ, ამ 50 წლის განმავლობაში ყველა ომში ვყოფილვარ, დღესაც ნავალ და მაგ ბავშვებს ამოფარებულეებს ისევ შევებრძობები.



მეხვედრა საზღვართან

ეს თქვა და საშინელი ზმუილიც ატყდა.

— განგაშია, იერუსალიმისაკენ რაკეტა გამოუშვეს! — ამბობს მძღოლი და მანქანას ამუხრუჭებს. ზმუილი კი იზრდება, თითქოს ფართოვდება და მხოლოდ გულს კი არ გეცემა, სულს გიშფოთებს — გადმოდი, გადმოდი მანქანიდან! — ყვირის მძღოლი. გადავედი. მერე? — აქეთ, აქეთ! — მძღოლი შენობისაკენ გარბის. მეც მივყვები. თვალი მოვკარი: ვილაკები მორბიან, ზოგიერთი კი იქვე, მანქანასთან გაეკრა მიწას.

ლაზას სექტორიდან იერუსალიმი-საკენ მომავალი რაკეტა 40-45 წამში აღწევს მიზანს.. სად, იერუსალიმის რომელ რაიონს, უბანს შენობას დაეცემა ეს მეხი, არავინ იცის. ადამიანებს უსაფრთხო ადგილის მოსანახად ორმოციოდე წამით აქვს. ამ დროის განმავლობაში უნდა შეაფაროს თავი რაიმეს. ახლად აშენებულ ყოველ ბინაში არის თითო ოთახი-ბუნკერი, რომელსაც რაკეტა ვერაფერს დააკლებს. ძველ ნაგებობებში სარდაფები თავშესაფრებადაა მოწყობილი. ყოველი ოჯახი იქ ჩარბის. თუ რაკეტას ქუჩაში „ხვდები“, ან შენობას უნდა შეაფარო თავი, ან მიწას უნდა გაეკრა.

რომელიღაც შენობაში შევერდი, მეორე სართულზე ავირბინეთ და ყრუ კედლებს შუა კედელს ავეკარი. მეზობლები ერთმანეთს უხმოდ ესალმებიან და კედელს ეკვრიან. შესაძლოა, ეს

ადამიანები მთელი წლის განმავლობაში ვერ შეხვდნენ ერთმანეთს — დღის 6-7 საათიდან სამსახურში არიან, შინ დაბრუნებულნი ისვენებენ და კაფეებში ატარებენ დროს. ამ დღეებში კი დილიდანვე 5-6-ჯერ მაინც ისე ეკვრიან კედელს, როგორც ცომს გააკრავენ გახურებულ თონეს.

განგაშის ზმუილი მთელ ქალაქს ედება, მერე უცებ ძლიერი აფეთქების ხმა ისმის.

— ააფეთქეს! — ამბობს ვილაკი.

დღევანდელი ისრაელის მასშველი რგოლი „რკინის გუმბათი“ გამოდგა.. იგი ლაზას სექტორიდან გამოსროლილ რაკეტას ჰაერშივე გააზრებულად აფეთქებს. ეს გააზრებულობა კი აი, რას ნიშნავს: რაკეტის ტრაექტორიის მიხედვით, რამდენიმე წამში გამოიანგარიშებენ მისი დაცემის ადგილს. თუ დაინახეს, რაკეტა შენობა-ნაგებობებს არ ეცემა და ადამიანებსაც არ ეშუქრება, აღარ აფეთქებენ, ხოლო თუ კომპიუტერულმა ტრაექტორიამ აჩვენა, რომ რაკეტა შენობებს, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ეშუქრება, ჰაერშივე აფეთქებენ.

ზურგის სამსახური მოსახლეობას აფრთხილებს, რაკეტის ჰაერში აფეთქების შემდეგ კიდევ ათი წუთი უნდა ელოდონ ნამსხვრევების ცვენას — არ უნდა გამოვიდნენ თავშესაფრებიდან. არავინ იცის აფეთქებული რაკეტის ნამსხვრევები სად ჩამოცვივა. აი, ერთი კაცი სწორედ აფეთქებული რაკეტის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა: მოხალისე იყო, ჯარისკაცებთან ხილი მიჰქონდა. აფეთქების შემდეგ თავშესაფრიდან უცებ გამოვიდა, ნამსხვრევები თავს დააცვივდა და...

მძღოლი წუხანდელ სკანდალზე მიამბობს: დღეს ისრაელის პოლიტიკური თუ სამხედრო ელიტა, მოსახლეობაც ორად არის გაყოფილი — ერთნი მიიჩნევენ, რომ არმიამ უნდა დაიწყოს სახმელეთო ოპერაცია, ეი შევიდეს ლაზაში და გაანადგუროს „ხამასი.“ მეორენი კი ამ ნაბიჯისაგან თავს იკავებენ. მთავრობის მეთაური ჯერჯერობით წინააღმდეგია (17 ივლისის საღამომდე) სახმელეთო ოპერაციის დაწყებისა, რადგან ამან შესაძლოა, დიდძალი მსხვერპლი გამოიწვიოს, როგორც პალესტინელთა, ისე ისრაელელთა შორის. თანაც „ხამასის“ განადგურება არც ისე იოლია. „ხამასი“ საავადმყოფოებიდან, საცხოვრებელი სახლებიდან ისვრის რაკეტებს. ამ სახლების, საავადმყოფოების სახურავებზე, ოთახებსა თუ პალატებში კი ბავშვებს ათავსებენ (ადრეც ასე იყო. ამან ათქმევინა გოლდა მეირს წინასწარმეტყველური ფრაზა:



„ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა დაისადგურებს მაშინ, როცა ისინი ჩვენსავით შეიყვარებენ თავიანთ შვილებს“). შეტევას თავად მოსახლეობაში ირევიან და ძნელი გამოსაცნობი ხდება, ვინ „ხამსელია“, ვინ კიდევ — ჩვეულებრივი, მშვიდობიანი მოქალაქე. ამიტომ ისრაელის არმიას ფაქტიურად არა აქვს ორიენტირი, თუ ვის ესროლოს და ვის — არა. 15 ივლისს ნეთანიაჰში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პალესტინის მშვიდობიანი მოსახლეობის, ისრაელელი ჯარისკაცების სიცოცხლის გაფრთხილების გამო თავს არიდებს სამხედრო ოპერაციის დაწყებას. ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დანილომ არ დააყოვნა: ნეთანიაჰში მშობარა და ამიტომ არ იწყებო სახმელეთო ოპერაციას. არც პრემიერ-მინისტრმა დააყოვნა და მინისტრის მოადგილე ერთ საათში სამსახურიდან გაანთავისუფლა.

\*\*\*

სასტუმრო „მეფე დავითი“ მართლაც, მეფურია. ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან ამ ქვეყანაში ჩამოსული ყოველ სახელმწიფოს მეთაურს, გინა, გამორჩეულ შემოქმედს, მეცნიერს, ამ სასტუმროში უცხოვრია. იატაკზე ყოველი მათგანის ფაქსიმილე და სტუმრობის წელია ამოტივტივებული. აგერ, ჩვენი — მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტის — როლანდ ლაუდერის გვარი და ფაქსიმილე იგი კოსმეტის იმპერიის შემქმნელის, მილიარდულ ესთი ლაუდერის შვილია, ავსტრიაში აშშ-ს ელჩობისას, რ. ლაუდერმა ავსტრიის პრეზიდენტის ფაქსიმილე წარსული გამოავლინა და მის გადადგომასაც მიაღწია. დღეს კი მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტი. ეს კონგრესი მსოფლიოს ებრაული სამყაროს უზენაესი ორგანოა, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ყოველი ქვეყნის ებრაელობის მდგომარეობას — იბრძვის ებრაელთა უფლებების დასაცავად. ეს უფლებები კი ხშირად ირღვევა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპა ლამის ფერადი გახდა — მუსლიმი მოსახლეობა ძლიერ მომრავლდა. ხან რას მოიფიქრებენ, ხან რას! ევროპას კი ასე მგონია, თვალსა და ხელს შუა ეპარება მუსლიმთა გეგმა ევროპის ხალიფატის შექმნის თაობაზე.

ისრაელის სამხედრო საბჭოს წევრი გვესაუბრება შექმნილ სიტუაციაზე. ყოველ საათში, ყოველ წუთს ელოდებიან ახალ ინფორმაციას ეგვიპტის წინადადებაზე. ეგვიპტემ წამოაყენა წინადადება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე. ისრაელის მთავრობის სხდომაზე ეს საკითხის განხილეს და ცეცხლის შეწყვეტის თანხმობა გამოაცხადეს. „ხამასისა“ კი ჯერ არაფერი ვიცოდით. ახლა სამხედრო საბჭოს წევრი გვაუწყებს, რომ „ხამასმა“ უარი თქვა ცეცხლის შეწყვეტაზე. სამხედროები გვტოვებენ. ახლა ისინი არა აქ, იქ უნდა იყვნენ, რადგან „ხამასის“ უარი სრულიად ახალ რეალობას ქმნის.

ჩვენ კი საგარეო საქმეთა მინისტრთან — ავიგდორ ლიბერმანთან მივდივართ. ლიბერმანი 80-იან წლებში კომინიოვიდან ჩავიდა ისრაელში. ამ ბოლო ხანს ახალი ინიციატივით გამოდის: ისრაელი არ უნდა იყოს ერთი ექვტორის (აშშ) შემყურე, ისრაელმა სხვა ვექტორიც უნდა ეძებოსო. ეს თქვა და ორიოდ დღეში მოსკოვს გაემგზავრა... ამ თეზას ახლო აღმოსავლეთში ბარაკ შუსაინ ობამას უცნაური პოლიტიკაც განაპირობებს — დაუმთავრებელი, არაბული გაზაფხული, რომელმაც რეგიონის სახე შეცვალა.

ლიბერმანის პარტია „ჩვენი სახლი — ისრაელი“ სამთავრობო კოალიციის წევრია და პრემიერ მინისტრის აქტიური ოპონენტი. ამას არც ჩვენთან საუბარში უფლის გვერდს. მიაჩნია, რომ ისრაელმა უნდა დაიწყოს სამხედრო ოპერაცია ლაზას სექტორ-

ში, ნეთანიაჰ კი აყოვნებს. ნერტილოვანი დარტყმები ვერა-რა შედეგს ვერ მოგვცემსო. ამიტომ იგი ლაზას ხელახლა ოკუპაციასაც არ გამოირიცხავს. დღეს კი საამისო კარგი ამინდი დგას — „ხამასმა“ ცეცხლის შეწყვეტაზე უარი თქვა.

\* \* \*

ზიკიმ — ასე ჰქვია კიბუცს, რომელიც ლაზასთან მდებარეობს. კიბუცის სამმართველო სახლი ზედ ზღვისპირასაა, ხელმარჯვნივ მოჩანს პალესტინელთა სოფელი. კიბუცში მოვედით, ამათაც ისევე სჭირდებოდა გვერდში დგომა, როგორც სხვებს, იქნებ, ამათ სხვებზე მეტადაც — ზედ საზღვარზე არიან. ზღვისპირას ვდგავართ — ნაპირის გაყოლებაზე პალესტინური სოფელია. აგერ, ვილაცას ეზოდან მანქანა გამოჰყავს, მარჯვენა მხარეს კი, შორი-ახლო, ნაცნობი სახე დავლანდე — აჩქარებული ნაბიჯით ჩვენსკენ მოდიოდა. თანამოსაუბრეს ვეკითხები: „ეს ჯინსებიანი და ბოტასებიანი მოხუცი ხომ შიმონ პერესია? სწორედ ისრაელის 91 წლის პრეზიდენტი გვიახლოვდებოდა. მასთან შეხვედრა საღამოს პრეზიდენტის სასახლეში გვექონდა დანიშნული, მას კი რა გაუგია, ჩვენ საზღვარზე წამოვედით, თვითონაც ზიკიმისაკენ გამოუწევია. მე შენ გეტყვი და იმოდენა სახელმწიფოა, საზღვარი შორსაა — იერუსალიმიდან საათნახევარში მოვედით.“

შიმონ პერესი კიბუცელებს შორის ჩადგა;

— მალე თეოდორ ჰერცლის გადაცვალების 110 წლისთავი შესრულდება. მისი ოცნება იყო ისტორიული სამშობლოს აღდგენა, ლეთის მიერ

შოთა რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“. ზეპირად კითხულობდა პოემის ბორის გაპონოვისეულ თარგმანის სტროფებს. თბილისში ყოფნისას, ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტშიც ისაუბრა რუსთაველზე. ღრმა, ერთობ გონივრული საუბარი ჰქონდა. ესპანური ენა იმისთვის შეისწავლა, რომ „დონ კიხოტი“ დედანში ეკითხა, იასნაია პოლიანაში ჩავიდა და თავს ისე გრძობდა, როგორც შინ, რადგან იქაურობისა ყველაფერი ადრიდანვე იცოდა.

შიმონ პერესი ბოლო მოჰკანია იმ თაობისა, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოებრიობა აღადგინა. ეს იყო დიდი თაობა, დღეს კი... დღეს დიდი პოლიტიკოსების ადგილს ჩინოვნიკობა იჭერს. რასაკვირველია, ესენი კოჭებამდეც ვერ შესწვდებიან იმთა, ვინც სახელმწიფოებრიობა აღადგინა, შეინარჩუნა, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერს, განვითარებულ ქვეყნად აქცია. როგორც დიდი წინაპარი იტყოდა „თაობა მიდის, თაობა მოდის“.

სდეროთი საზღვრის აქეთ პირველი ქალაქია. სულ 12 კილომეტრი ამორებს ლაზას სექტორს. აქ ვერ გარკვეულან სდეროთის თავზე რაკეტა უფრო მეტია, თუ ვარსკვლავები. საქმე ის არის რომ ახლო მანძილზე მისაწვდენი რაკეტა გაცილებით იაფი ჯდება და ხამასიც ისვრის და ისვრის. თუ თელ-ავივში, იერუსალიმში დღეში 5-6-ჯერ ცხადდება განგაში, აქ ის საათია გამონაკლისი, როცა რაკეტას არ ისვრიან — ყოველ საათში ცვივა. და თუ იერუსალიმში, თელ-ავივში განგაშის გამოცხადებიდან 40-45 წამი გაქვს თავშესაფარში მისასვლელად, აქ სულ რაღაც 15 წამი დაგრჩენია



საზენიტო ბატარეის ჯარისკაცებთან

ჩვენთვის ბოძებულ მინაზე ებრაელთა ეროვნული კერის აღორძინება, ახლა ამას ემატება კიდევ ერთი ოცნება: მშვიდობა ამ მინაზე. პირველი ოცნება შესრულდა, მეორე...

რატომ მოვიდა ეს ერთობ მოხუცი, ბერიკაცი ზიკიმში? საღამო ხანს ჩვენ ხომ მას თავად ვეახლებოდით? მასაც იგივე მიზანი ამოძრავებდა, რაც ჩვენ: საზღვარზე მცხოვრები კიბუცელების გამხსნევა, მათს გვერდში დგომა. ჩვენი მათთან მისვლა, საგულდაგულო საუბარი, ამბის გამოკითხვა, საჩუქრების გადაცემა ხომ იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ებრაელობა მათს გვერდითაა, აი მათთან მოვიდნენ ავსტრიელი, ვენესუელელი ამერიკელი, ქართველი ებრაელი, სხვა, შორეული ქვეყნებიდან იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ მათ მოეხვიონ, გაამხნეონ. ამას კიდევ პრეზიდენტის სტუმრობა დაერთო — მომავალ კვირაში — 24 ივლისს იგი პრეზიდენტის სასახლეს დატოვებს, თავის საცხოვრებელ ბინას დაუბრუნდება და იცხოვრებს მარტოსული ბერიკაცის ცხოვრებით, მაგრამ ჰყავს მეგობრები — ნიგნები. ნიგნები მისი სამყაროა — იგი ხომ ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალია. კარგად მახსოვს მისი ნაუბარი

იმისათვის, რომ თავი გადაირჩინო. აი, ეს ბავშვები, მათი პედაგოგები. ახლა რომ სიმღერითა და ცეკვით ხვდებიან სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ებრაელებს, ყოველ წამს ყოველ წუთს საფრთხის ქვეშ არიან.

აი, განგაშიც ატყდა. საშინელი ზმუილი იმის, შემადრწუნებელი თითქოს ქალაქს გველემშია მოადგა — ზმუის, ღმუის და ვიდრე პირში მსხვერპლს — ბავშვებს არ ჩაუდებ, არ შეჩერდება — ასე იღმუვლებს. ადამიანები კი პირზე ღიმილმომდგარნი გარბიან თავშესაფრისაკენ. ეს მწარე ღიმილია, უმწარესი. ჩვენც მათ მივედეთ. თავშესაფარში ჩასვლის წინ თვალი მოვკარი ეზოში მანქანა გაჩერდა, მანქანიდან იული ედელშტეინი გადმოდის — ისრაელის პარლამენტის სპიკერი — და აქეთ გამობრის. ე.ი. მიხვდა, თავშესაფარი სადაც არის. თავშესაფარში ჩავედით, ყველა გალურსულა, ყურს უგდებენ, თუ რა მოხდება გარეთ. აფეთქების ხმაც მალე გაისმა. ბავშვები უხმოდ არიან, უფროსები ჩურჩულთ საუბრობენ. იული ედელშტეინიც უხმოდ დგას. აქეთ კუთხეში ქალაქის მერია, ქენქეთის აქაური წევრი — ახალგაზრდა ქალიც აქვეა. პარლამენტის სპიკერს ვერ ხედავენ, არც იციან რომ მოვიდა.

მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტი მინას დასცქერის. მომქანცველი დუმილი გამეფებულა. ასე გადის რამდენიმე წუთი, მერე „ბავშვები აჩოქქოლდნენ, ახმაურდნენ, კარიც გაიღო და პრეზიდენტმა თბილი ღიმილით გადმოხედა ბავშვებს, ვილაცას თავზე ხელი გადაუსვა. როლანდ ლაუდერი და პარლამენტის სპიკერი ერთმანეთს ეგებებიან.

კვლავ დარბაზში შევიღვართ, სცენაზე ცეკვავენ და მღერაინ ბავშვები — გოგონები, ბიჭუნები. ჩვენ კი ტაშს ვუკრავთ. ლაპარაკობს ლაუდერი, მერე ედელშტეინი „ბავშვებს საჩუქრებს ვურიგებთ. ისეთი მხიარულებაა, ისეთი ცოცხალი კონტაქტი, თითქოს არა-რა განგაში არ ყოფილა — არა-რა გველემშია არ მოსდგომია ქალაქში. მერს ვეკითხები სდეროთში ქართველი ებრაელები თუ არიან-მეთქი, თითო-ორი, მე ბევრ-შეგადან ვარ, იქ ბევრიაო, იქ როგორ არის საქმე-მეთქი, რაკეტები არც იქ გვაკლიაო.

\*\*\*

ისრაელის სამხედრო ისტებლიშმენტის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტი-სარაკეტო სისტემა „რკინის გუმბათი“ რომელიც ახლა ქვეყანაში მოქმედებს, უნიკალურია. ერთი ნაწილი-მეთქი ვწერ, რადგან არის მეორე ნაწილიც, რომელიც აცხადებს „რკინის გუმბათი“ დილექტანტიზმიაო. ფაქტი კი ძალზე ჯიუტია: ამ კრიზისის დღეებში „რკინის გუმბათის“ ეფექტურობა 92% აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რკინის გუმბათი“ ლაზადან გამოსროლილი რაკეტების 92% ანადგურებს. მთელ სახელმწიფოში შვიდი ასეთი ბატარეია დგას. ქვეყნის მაქსიმალური სიმშვიდის გარანტიისთვის კი 12-15 ბატარეიაა აუცილებელი. ახლახანს აშშ-მ გამოჰყო თანხა და წლის ბოლომდე ისრაელს კიდევ ერთი ბატარეია შეემატება. თითო ბატარეია 50-60 მილიონი დოლარი ჯდება.

ერთ-ერთ ბატარეიაში ნაშუადღევს მივედით. პირობითად ითქმის მივედით-თქო, სამხედროები — ჯარისკაცები და ჯარისკაცები — აქეთ გამოგვეგებნენ, ლამის 8. გზისპირას. ერთი გოგონა — 21-22 წლისა — საზრიანად გველაპარაკება იმაზე, რისი თქმაც შეიძლება მათი საქმიანობის შესახებ.

ამერიკიდან, ყირგიზეთიდან, უნგრეთიდან და საქართველოდან ჩასულთ გვთხოვენ საჩუქრები გადაგვცა სამხედროებისათვის, ორიოდ სიტყვაც გვეთქვა. მე მართლა ორი წინადადება ვთქვი:

— გამადლობთ. თქვენ აქ იცავთ ჩვენი შვილების, შვილიშვილების, ნათესავ-მეგობრების უსაფრთხოებას და კიდევ იმისათვის გმადლობთ, რომ იცავთ ისრაელის, ებრაელი ხალხის ღირსებას.

ამ ბატარეიას ძირითადად ჯარისკაცები ემსახურებიან. შევეყურებდი ამ გოგონებს და ვცდილობდი სადღესასწაულად მორთული — მეგობრის დაბადების დღეზე, ქორწილში, გინდაც პაემანზე მიმავალნი წარმომედგინა. ერთობ მშვენიერნი ჩანდნენ. განსაკუთრებით ის, მწვანეთვალეა გოგონა ქართველი ებრაელი რომ გვეგონა. არ აღმოჩნდა.

\*\*\*

მინდა იმაზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა, რამაც ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია; აშშ-მ, ევროკავშირმა „ხამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. აბუ მაზენი პალესტინის პრეზიდენტი, „ხამასი“ კი შეიარაღებული ფორმირება, რომელთან საუბრისას პრეზიდენტი აბუ მაზენიც კი სიტყვებს არჩევს. ამ გაზაფხულზე „ხამასმა“ და „ფათხმა“ (აბუ მაზენის მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირება) აბუ მაზენთან ერთად კოალიციური მთავრობა შექმნეს. „ხამასის“ ლიდერებთან კრემლიც კი მეგობრობს, ხოლო ლიბანში დამკვი-



# სსპათა სიხარულის შეცნობის ნიჭი მიხილ დავითაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

არაერთხელ მიფიქრია იმაზე, თუ ვინ ვართ და რისთვის ვარსებობთ ჩვენ — ჟურნალისტები, რომლებიც მეოთხე ხელისუფლებად მოვიხსენიებით და როგორ უნდა გავიხარჯოთ, რათა ჩვენს მიერ განვლილი გზა სიკეთედ შერჩეს ქვეყანასა და მთაბრძოლვას?

როდესაც ამ კითხვებზე პასუხს ვეძებ, თვალწინ ცოცხლდება ჩემთვის უსაყვარლესი ორი პიროვნება — მიშა მიქაძე და მიხეილ დავითაშვილი, რომელთაგან პირველი ათით, ხოლო მეორე ზუსტად 20 წლით იყო ჩემზე უფროსი. მიშა უპირველესად დამამახსოვრდა კაცთმოყვარეობით გამორჩეული ნარკვევით

რომ ეს ციკლი არა მარტო ჟურნალისტის, არამედ, და, უპირველესად, პუბლიცისტის სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მაგალითია. განსაკუთრებული ხაზგასმით ეს დღევანდელი გადასახედიდან ითქმის, რადგან დიდი კატაკლიზმების პერიოდებიდან მოკიდებული, ხელისუფალთა უმნიფრობის, უთაურობისა და უნიგნურობის გამო ჩვენმა ქვეყანამ მთლიანად დათმო ყველა პოზიცია და ის თვალსაჩინო სეგმენტი, რომელიც მსოფლიოს ჩაის მრეწველობაში როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად ცვილონისა და სხვა ნამყვანი მწარმოებლების გვერდით

თანაკლასელის — შალვა ჩიკვაშვილის დიდი ოჯახის ღირსეულმა წარმომადგენელმა, მისმა უფროსმა ძმამ ბორის ჩიკვაშვილმა ამიხსნა. მიხარა, ეს შედეგი დაწვინების მეთოდით მცენარეთა მორწყვით არის მიღებული. და გამახსენდა, რომ მრავალი წლის წინათ დაწვინების სიკეთეს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ ბევრი სიღრმისეული სტატია მიუძღვნეს თავად ჩემმა რესპოდენტმა, ამ მეთოდის ავტორმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ბორის ჩიკვაშვილმა და გაზეთის შემოქმედებითმა მუშაკებმა, ჩემმა თანაკურსელებმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტებმა შუქურა კოტრიკაძემ, მედეა ცოტაძემ, მზია კობერიძემ და სხვებმა. სამწუხაროდ, ეს მეთოდი თავის დროზე მხოლოდ ორგან — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთში და სამგორის საბჭოთა მეურნეობაში დაინერგა, თუმცა მისი სიკეთე თვალნათლივია და ამასთან ჩვენში მისი რეალურად განხორციელების გზა გაცილებით იოლია, ვიდრე თითქმის უწყლო ისრაელში...

და არც მისი პუბლიკაცია, რომელთა დაკავშირებითაც ან ტელეფონით, ან პირადი შეხვედრისას არ გვესაუბროს..

ვიტყვი მეტსაც. ერთხელ, როგორც თავის უმცროს მეგობარს, მაგრამ მაინც მორიდებით მთხოვა, რომ ჟურნალისტიკაში გზა გამეკვალა მისი ობოლი ნათესავისათვის, — პერსპექტიული სტუდენტისათვის, რომელსაც მატერიალურად საგრძნობლად უჭირდა.. საბედნიეროდ, იმ პერიოდში სტატისტიკის გამოქვეყნებაში საზღაურად მიღებული ჰონორარი ამ ახალგაზრდას იმდენად წაადგა, რომ შემდგომში არა მარტო ალიარებული ჟურნალისტი გახდა, არამედ სილიციუმის ქიმიის კარგად ცნობილი სპეციალისტიცა და კოსმოსური სანავის დარგში რამდენიმე თვალსაჩინო გამოგონების ავტორიც, რაც როგორც მე, ისე ბატონ მიხეილ დავითაშვილს ვახარებდა... ჩემმარტივ ბედნიერება ცოდნის მიღწევა. იგი „თქვენს“ მიღმაცაა, მით უფრო, თუ ბედნიერება სხვებისთვისაც მოგაქვს... თუ მხოლოდ საკუთარ თავს გრძნობ, სიხარულს ვერ შეიცნობ!“ — ამოვიკითხე სულ ახლახან ისრაელში მცხოვრები ჩემი მეგობრის მიხეილ ხანანაშვილის მიერ ქართულად გადმოთარგმნული მენახემ შნეერსონის 365 ნააზრევიდან 168-ეში. ეს ამონარიდი შემთხვევით არ გამხსენებია.



პოეტი იოსებ ნონეშვილი ახალ ლექსს უკითხავს მიხეილ დავითაშვილს

— „სიკვდილის შემდეგ გასაგზავნი ბარათები“, რისთვისაც 1983 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა და უნებლიე, მაგრამ ფრიად სამწუხარო მეცდომათა გულწრფელი ჟურნალისტური მონაწილისადრე გაუგონარი მაგალითია.

მიხეილ დავითაშვილიც მართოდ მრავალრიცხოვანი კაპიტალური წიგნებითა და მისი ჭეშმარიტად დიდი ჟურნალისტური მოღვაწეობით როდი მახსოვს. იგი ჩემთვის განსაკუთრებულად გამორჩეულია ნერილების ციკლით — „ჩაი ჩვენი — ქართული“. რატომ სახელდობრ ამ ციკლით? თუნდაც იმიტომ,

ეკავა. არადა, იმდროინდელი დონე რომ შეგვენარჩუნებინა, ნაწილობრივ მაინც ავიცილებდით მასობრივ უმუშევრობასა და იმ გაუსაძლის სიდუხჭირეს, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ ვერა და ვერ დააღწია თავი.

მქონდა ბედნიერება, რომ ქუთაისის ოფიციალურ წარმომადგენლად ორჯერ — 1990 და 1995 წლებში, აგვისტოს ზვატში ვწვეოდი ერეკლე-ისრაელს და საკუთარი თვალით მეხილა ნამდვილი სასწაული — საოცრად ამწვანებულ ქვეყანაში ფოთოლი და ბალახის ღერი რაა, მაგრამ ფოთოლი და ბალახის ღერიც კი ვერ ვნახე შემქნარი. მიზეზი ჩემი ქუთაისელი

თანაკურსელები ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია. გაზეთები — „თბილისი“, რომელშიც მე დაარსების დღიდან ვთანამშრომლობდი, და „სოფლის ცხოვრება“ გამომცემლობა „სამშობლოს“ ერთ ფლიგელში იყო განთავსებული — მეორე და მეხუთე სართულებზე და თანაკურსელებთან ერთად იქ ჩემს სხვა მეგობრებსაც ყოველდღიურად ვხვდებოდი, მათ შორის ბატონი მიხეილის მოადგილეს ვალიკო გოგოლაშვილს, უნიჭიერეს პუბლიცისტსა და მხატვარს დემურ ბაშალიშვილს, ჩემი უახლოესი მეგობრის — ოთარ დიაკონიძის დას, „სოფლის ცხოვრების“ ნერილების განყოფილების გამგეს — მარგო დიაკონიძესა და სხვებს.

სწორედ მათთან ურთიერთობისას გამეცნო და მალე ისე დამიახლოვდა ბატონი მიხეილი, რომ არ დარჩენილა ფაქტობრივად არც ერთი არც ჩემი

ჩემზე 20 წლით უფროს მეგობარს, ბატონ მიხეილ დავითაშვილს ჭეშმარიტად ჰქონდა სხვებისათვის სიხარულის მოტანისა და სხვათა სიხარულის საკუთარივით განცდის ნიჭი. მისი სახელი ამიტომ ცოცხლობს და მწამს, რომ კვლავ დიდხანს იცოცხლებს საქართველოში. სხვაგვარად შეუძლებელია, ის იყო კაცი, რომელსაც ყოველთვის ახსოვდა „რომ მეოთხე ხელისუფლება უდიდესი ძალაა და ამიტომ აუცილებელია, ამ ძალის სიკეთის სამსახურში ჩაყენება, რათა სხვათა ბედნიერება საკუთარივით გახარებდეს.

ალექსანდრა შენგელია

## თბილი ღიმილის კაცი

სავსებით სწორად წერს ბ-ნი ალექო შენგელია: მიხეილ დავითაშვილი გახლდათ ის პიროვნება, რომელსაც გააჩნდა სხვისი სიხარულის შეცნობისა და გახარების ნიჭი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მას თავად შეეძლო ადამიანებისათვის სიხარული მიენიჭებინა: სამსახურის მძებნელი, დამწყები ახალგაზრდა მწერალი ვიყავი, ერთობ მწირი შემოსავლის მქონე, და ჩემი მდგომარეობა რომ შეემსუბუქებინა, ხშირად გამომიწერდა მივლინებას დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში (აბაშა, საქმენაღია, ხობი, ზუგდიდი) საიდანაც შემეძლო ქ. სენაკში, ჩემს მშობლებთან ჩასვლა. ეს იყო სამგზავრო და სამივლინებო თანხა, ჰონორარიც კი, თუ რაიმეს დავწერდი. ამას აკეთებდა მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ თანამშრომელი არ ვიყავი, არც ხშირად ვიბეჭდებოდი ამ გაზეთში.

და ის, რომ არარა კომპლექსი არ გააჩნდა, აი, მე ებრაელი ვარ და სხვათაგან განსხვავებული, არც იყო განსხვავებული, ისევე ემსახურებოდა ქვეყანას, სახელმწიფოს, როგორც სხვები. ვგონებ, ბევრზე გაცილებით უკეთესად — ერთი პატარა, სოფლის მშრომელებისათვის განკუთვნილი გაზეთი საქართველოში ერთობ პოპულარულ, საკითხავ გაზეთად აქცია. საოცარი იყო: ამ გაზეთში ისეთი მასალები იბეჭდებოდა — სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რომელსაც თითქოს დიდძალი მკითხველი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ბოლო გვერდად ისე აკეთებდა, რომ გაზეთი საყოველთაოდ გახდა. აი, ეს არის პროფესიონალიზმი, ეს არის იმ საქმის სიყვარული, რომელსაც ემსახურები.

თავისი ეპოქის შვილი იყო, ეპოქის ინტერესებით ცხოვრობდა, არასოდეს მიუღია იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა, იმსახურებდა, მაგრამ მას ისე სწამდა თავისი ეპოქისა, არა მოვალეობის გამო, გულითადად ემსახურებოდა მას, სიყვარულით და შემართებით. ეს ჩინებული თვისება ჰქონდა, იმიტომ რომ, კორუფციის ზეობის ეპოქაში პატიოსანი კაცის ცხოვრებას ეწეოდა, რისაც სჯე-

როდა, იმას ემსახურებოდა, არ თვალთმაქცობდა. ასე იქცა თავისი დროის ლიდერად. ლიდერი იყო, რადგან, ძალიან კარგად აკეთებდა იმ საქმეს რაც ევალებოდა.

დღეს კომუნისტური ეპოქის დროინდელი ყველა მოვლენა, ფაქტი ნეგატიურად ხასიათდება თორემ ის შრომა, რაც მიხეილ დავითაშვილმა ქართველი გენერლის — კონსტანტინე ლესელიძის ცხოვრების, ბრძოლების შესასწავლად გასწია, დასაფასებელია. კონსტანტინე ლესელიძე ხომ საქართველოს ისტორიის ნაწილია — ქართველი კაცის განვლილი სამხედრო ცხოვრების გზა. მას კომუნისტურ ეპოქაში მოუწია ცხოვრება, ომი, თავის დამკვიდრება და ქართველი ოფიცრის ღირსების დაცვა. მიხეილ დავითაშვილმა კი მისი ცხოვრება წიგნით უკვდავყო. ჩემი წიგნის თაობაზე დღესაც ამშვენებს ბატონი მიხეილის მიერ ნაწილად წიგნი ერთობ თბილი წარწერით. ამ წიგნს რომ შევავლებ თვალს, ბატონი მიხეილის თბილი ღიმილი წამომიდგება და სიმშვიდის განცდა მეუფლება.

ბურამ ბათიაშვილი

დრებული ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლა“ იქიდან უცხადებს სოლიდარობას „ხამასს“ და ისრაელს რაკეტებს უშენს.

ისრაელი კი დღესაც ელექტროენერგიას აწვდის ლაზას სექტორს. აწვდის ისევე უფასოდ, როგორც აწვდიდა შარშან, შარშანწინ. „ხამასს“ რომ ისრაელის მიერ მიწვდილი ელექტროენერგია არ ჰქონდეს, ვგონებ, ვერ

მოახერხებდა ისრაელში რაკეტების გადასროლას. ამ თემაზე რამდენიმე სახელმწიფო ჩინოვნიკთან კამათიც კი მქონდა. ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება მტერს შენი მოსპობის სამუალებას უგზავნიდ. მპასუხობენ, რომ დემოკრატიის პრინციპები არ აძლევთ უფლებას მოსახლეობას შეუწყვიტოს წყალი, გაზი, ელექტროენერგია.

კი, მაგრამ ეს მოსახლეობა ხომ ფარად უდგება „ხამასს“ — სახლების, საავადმყოფოების სახურავებზე, საიდანაც რაკეტებს ისვრიან, ბავშვები დგანან და თქვენ ზოგჯერ თავს იკავებთ. მეტიც: როცა შეტევას იწყებთ, მოსახლეობას აფრთხილებთ ამა და ამ საათზე შეტევას დაიწყებთ და ქალაქი დატოვებთ. „ხამასი“ კი თადარიგსაც იჭერს — მოსახლეობასაც ქალაქიდან

არ უშვებს.

დემოკრატიით ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, ძლიერების დასტურია, მაგრამ არა მხოლოდ დემოკრატიას, ომსაც აქვს თავისი კანონები, ეს კანონი კი ლაღადებს: მტერი უნდა მოსპო, გაანადგურო, თუ არადა...

გაზეთი „რეზონანსი“  
2014 წლის 28 ივლისი.



შოთა ზოიკა

მადლის ქედიდან

ისრაელში არის ადგილი, რომელსაც მადლის ქედი ჰქვია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს იერუსალიმი.

იერუსალიმს დავხედე მადლის ქედიდან, დავხედე და ქალაქი უფრო მედიდა. უფრო მედიდა და უფრო მელამაზა, აღარ ვისაუბრებ ახლა მე ამაზე. მე შენი სტუმარი ვარ, იერუსალიმ, საქართველოდან მოტანილი სალმით. მალე მივუტან აჭარულ დაფნას, აჯიაშვილი ჯემალის საფლავს. საქართველოდან მოტანილ ვარდებს, სუყველას მე მის საფლავზე დავდებ. მივესალმები ნელგამართული, დიდ პოეტს, დიდ კაცს, დიდ მექართულეს. 2014

საიტი „Новости – Грузия“ იუნყება...

16 ივლისს იერუსალიმში, იუდაიკის ცნობილ აუქციონზე — „კედემ“ გასასყიდად გაიტანეს ქართველი ებრაელობის კუთვნილ მთელ რიგ ანტიკვარული ნივთები. ყველა ეს ნივთი ამ ცოტა ხნის წინათ იქნა ჩატანილი ისრაელში ახალციხიდან, ქალაქიდან რომელშიც ასობით წლის განმავლობაში იყო დიდი ებრაული თემი, დღეს კი ამ ქალაქში ათამდე ხანდაზმული ებრაელი ცხოვრობს. აუქციონის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ქართული იუდაიკის ნივთები ერთობ იშვიათი ნიმუშია და აუქციონზე პირველად გამოაქვთ. აუქციონის ლოტებზე წარმოდგენილი იყო 1891 წელს დაწერილი „ქეთუბა“, მე 19 საუკუნის დასასრულს „ესთერის გრაგნილი“ („მეგილათ ესთერი“) მეზუზა, ებრაული კალენდრები.

ისრაელის მხარდასაჭერად



29 ივლისს, 18:00-სთ, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ გაიმართა ისრაელის მხარდამჭერი აქცია. ისრაელის მხარდასაჭერი აქცია სოციალური ქსელისმეშვეობით დაიგეგმა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირეს საქართველოს ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

აქციის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის კახა დგებუაძის თქმით, შეკრების მთავარი მიზანი იყო ისრაელის თავდაცვის უფლების აღიარება და მისი მხარდაჭერა. აქციის მონაწილეები გამოხატეს ტერორისტული დაჯგუფება „ჰამასის“ მიერ ებრაული ქალაქებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ფართომასშტაბიან სარაკეტო თავდასხმებს და მიიჩნივეს, რომ ტერორიზმის ყოველგვარი გამოვლინება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, მთელს მსოფლიოსაც, შესაბამისად ისრაელის საპასუხო დარტყმები ღაზას სექტორზე გამართლებულია.

აქციის მონაწილეებმა შემდეგ გადაინაცვლეს ისრაელის სახლში და ისრაელის სახლის დამფუძნებელს იციკ მოშეს გადასცეს ისრაელის მთავრობისა და პარლამენტის სახელზე მომზადებული მიმართვა.

მარინე სოლომონიშვილი ებრაული საინფორმაციო ცენტრი

რევაზ გაჩეჩილაძე — საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, პროფესორი და თსუ-ს საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი რევაზ გაჩეჩილაძე 7 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში.

რ. გაჩეჩილაძე გახლდათ საქართველოს პირველი ელჩი ისრაელში, საქართველოს საელჩო ისრაელში მან გახსნა, შემდეგ იყო ელჩი სომხეთში. ჩნობილია როგორც ისრაელის მეგობარი. გახლავთ ავტორი ერთობ საინტერესო ნიგუნებისა, რომელშიც განხილულია საქართველოს უახლოესი წარსულის მიღწევები და პოლიტიკური შეცდომები, მისი როლი და ადგილი მოცემულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

„მენორას“ რედაქცია ბ-ნ რევაზ გაჩეჩილაძეს წარმატებას უსურვებს ამ ახალ სარბიელზე.

ჩაშს ქართვანც მავოზრახს პირდაპირი რაჰორბაჰი

ორი დღის უკან სასაფლაოზე ვიყავი. იმ დილას ამ 22 წლის ბიჭის არსებობაც კი არ ვიცოდი. იმ დილას გამოაცხადეს - წინა დღეს ბრძოლაში დაიღუპა ჯორდან ბენ სიმონი. მარტოხელა ჯარისკაცი იყო, რამდენიმე წლის უკან საფრანგეთში მშობლებს და ნათესავებს გამოემშვიდობა და ისრაელში მარტო ამოვიდა ქვეყნის და ხალხის წინაშე ვალის მოსახდელად, ისრაელის ჯარში სამსახურის გასავლელად. თურმე ჩემს ქალაქში ამკელონში ცხოვრობდა. ამკელონის სასაფლაო ქალაქის უკიდურეს სამხრეთ ნაწილშია ღაზის სექტორთან ახლოს, ამიტომაც მუდმივად იბომბება ხამასის მიერ. იმ დილას ქალაქის მერმა თქვა ტელევიზორში ჯარისკაცი მარტოხელაა, ოჯახი საფრანგეთიდან შუადღეს ჩამოფრინდება, სასაფლაოზე თავშესაფარი არაა და საშიშია მოსვლა, ამიტომ ვერც ვერავის ვეტყვი მოდიო და ვერც ვერავის ავუკრძალავო, რასაც გული გიგრძნობთ ისე მოიქეცითო. ხო და რაც გულმა მიკარნახა ისე მოვიქეცი, ჩავჯექი მანქანაში და სასაფაოსკენ გავწიე. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალაქის ცენტრში მომიწია გაჩერება, თურმე მარტო ჩემთვის არ უკარნახია გულს. ქალაქის ცენტრიდან სასაფლაომდე მანქანების გაუთავებელი რიგი იდგა. ხალხი მანქანებს ტოვებდა და ფეხით მიდიოდა სასაფლაოსკენ. მეც მანქანა გავაჩერე და მდუმარედ მიმავალ ხალხის უსასრულო ტალღას შევეუერთდი. 45 წუთი ფეხით მივდიოდით, სასაფლაოზე საფლავის ქვები არ ჩანდა, ხალხის ზღვა იდგა. თითქოს მთელი ქალაქი დაიცალაო, მოხუცების და ბავშვების გარდა მთელი ქალაქი აქ იდგა. ქალაქი დასტიროდა 22 წლის ბიჭს, რომელიც



მარტოხელა ჯარისკაცი აღარ იყო, ქალაქი თავის შვილს დასტიროდა. 17 დღეა ომი მიდის, პირველი ათი დღე ჩვენი ავიაცია ბომბავდა სარაკეტო დანადგარებს რომლებიც მოშორებული იყო დასახლებული რაიონებიდან, ამიტომაც არ იყო საჭირო ქვეითი ჯარის შესვლა ღაზაში და შესაბამისად არ იყო მსხვერპლი ჩვენს ბიჭებს შორის. მთელი ამ დროის განმავლობაში ხამასი ისროდა რაკეტებს სახლებიდან, მეჩეთებიდან, სკოლებიდან და სავადმყოფოებიდან. და აი 10 დღის შემდეგ ჩვენი მთავრობის წინაშე დადგა დილემა დაინყოს ყველა ამ ობიექტების ბომბვა და დაზოგოს ჩვენი ბიჭების სიცოცხლე რაც გამოიწვევს ათასობით მსხვერპლს ღაზის

მოსახლეობას შორის თუ პირიქით შეიყვანოს ქვეითი ჯარი მოსახლეობის მსხვერპლის შესამცირებლად ჩვენი ბიჭების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად. ეს დილემა არ დაბადებიათ ბრიტანელებს, როცა დრეზდენი მინასთან გაასწორეს, არც ნატოს ჯარებს რომლებიც იუგოსლავიაში ბომბავდნენ დასახლებულ რაიონებს, არც რუსებს როცა გროზნოს და გორს ბომბავდნენ. და ბოლოს არც ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენს როცა ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლის დასაზოგად ორი ატომური ბომბი ჩაგდო იაპონიაში და 200000 ადამიანი გაანადგურა. რატომღაც მსოფლიო ჩვენგან სხვა სტანდარტებს ელის, მსოფლიო

ცინიკურია ორმაგი სტანდარტებით. ჩვენმა მთავრობამ მეორე გზა აირჩია მინიმუმამდე დაეყვანა მსხვერპლი ღაზის მოსახლეობაში და ქვეითი ჯარი შეიყვანა ღაზაში. და აი პირველი მსხვერპლიც ჩვენს ბიჭებს შორის, დაღუპულ ჯარისკაცთა რაოდენობამ 30 გადააჭარბა მათ შორისაა ჯორდენიც. მსხვერპლი მიტომ კი არაა რომ ხამასი ძლიერი მონინალმდეგა არამედ იმიტომ რომ ბავშვებს და ქალებს ამოფარებული ნაძირალები არიან. ძალზედ ძნელია იომო. როცა ხელფეხი შეკრული გაქვს და ბრძანება გაქვს ისროლო მხოლოდ როცა დარწმუნებული ხარ რომ შენს წინაშე ტერორისტია. ჩვენი მფრინავები რომლებიც ზემოდან ფარავენ ჩვენს ბიჭებს ყვებიან როგორ უკრძალავენ მათ ესროლონ ტერორისტთა დაჯგუფებებს რომლებიც ჩვენ ბიჭებს არიან ჩასაფრებულნი და ეს მხოლოდ იმიტომ რომ ჩასაფრების ადგილის მახლობლად მოსახლეობა იმალება. აი ასე დაიღუპა ჯორდენიც. და როცა რომელიმე ანტისემიტი „დააძრობს“ ღაზაში დაღუპული ბავშვის სურათს - საპასუხოდ ამ ბიჭის სურათი აჩვენეთ, რომელიც დაიღუპა სწორედ იმიტომ რომ ღაზაში ბავშვები არ დაღუპულიყვნენ. და მაინც ჰაერში დგას ამაზრზენი კითხვა ვინ თქვა რომ მათი ბავშვების სიცოცხლე ჩვენი ბიჭების სიცოცხლეზე ძვრფასია? და თუ ისინი არ ინდობენ საკუთარ შვილებს რატომ უნდა დავინდოთ ჩვენ? ამ კითხვას ერთხელ და სამუდამოთ ვილაცამ უნდა გაცვს პასუხი...

ივსაკ პალევი (ზაზა პალოლაშვილი)







ებრაელი ხახმის ასეთ გამოსვლას არავინ ელოდებოდა. დეპუტაციის წევრი ლარიბი ებრაელები ერთმანეთს გაკვირვებული და გახარებული შეყურებდნენ. გუჯიათ აბრამამ დავით ბახანაშვილს მუჯღუგუნი გაჰკრა და გამწარებით ჩაუწურჩულა:

- ესეც შენი ხახამ დავითი, ესეც შენი სიონისტი!..
- ძალიან ჭკვიანურ სიტყვებს იძახის ეს ცოლშვილ გასანყვეტი, ესა, - ჩაერია ლაპარაკში შათარათ იაყობი, - ნამდვილი პოლიტიკოსია, გულში ბოლმა აქვს ჩამდგარი, ენაზე კი თაველი და მურაბა დაუდია.

დავით ბახანაშვილის მისაღმების უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. იგი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და თავის დეპუტაციას შეუერთდა, თან სიამოვნებით ისვამდა ხელს ლამაზად დაყენებულ წვერზე. ნათანი დავითთან მივიდა და ებრაულად უთხრა:

- რაბი დავით, დიდი ბოდში, განუხებთ, მაგრამ ჩემთვის ერთი რამეა გაუგებარი. ნუთუ, მართლა ხართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენს ერს თავისუფლებას და თვითგამორკვევის უფლებას მისცემს? ესენი ხომ ურწმუნოები არიან, ამათ არც ქრისტი, არც ღმერთი და არც არავითარი რწმენა არ გააჩნიათ, ნუთუ ჩვენი ხალხის განათლებას და უმეცრეების ჭაობიდან გამოყვანას ესენი იკისრებენ? ესენი, რომლებსაც თვით არ გააჩნიათ არც განათლება, არც რწმენა და ამათ რა თავისუფლება უნდა მიანიჭონ ჩვენს ხალხს, როცა მათ ქვეყანა ძალადობით ჩაიგდეს ხელში?

- ნათანი! - უპასუხა დავითმა, - ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ და შენი მსჯელობა საღი აზროვნების ნაყოფი არ არის. თუმცა, ისტორია კარგად გაქვს შეთვისებული, მაგრამ დიალექტიკური განჭვრეტის უნარი არა გაქვს. ეს ხალხი - და მან ხელი მოედანზე შეგროვილ ხალხისაკენ გაიშვირა - პატარა ძალა არ არის. ეს ხალხი ყველაფრის შემძლეა და მჯერა, რომ ჩვენი პატარა ერი, ქართველი ისრაელი თავს მალდა ასწევს და რევოლუციის მონაპოვარს ბრძოლად გამოიყენებს. კეთილდღეობა ხალხს უბრძოლველად არასდროს მოუპოვებია. კაცობრიობის და კერძოდ ისრაელთა ერის მთელი ისტორია ეს ომები და ბრძოლა კეთილდღეობისათვის. ამ ბრძოლაში მხოლოდ ძლიერი იმარჯვებს. ჩვენი ერი გაუნათლებელი და უმეცარია. მონამულა უნიჭო ხახმების ქადაგებით და წვრილმანი ვაჭრობის სულისკვეთებით. მას არავითარი იდეალი არ გააჩნია. დღედაღამ ერეც ისრაელში წასვლაზე ფიქრობენ და კი არავინ მიდის. კიდევ რომ წავიდეს, იცის რომ იქ შიმშილით მოკვდება. მას ბრძოლისა და წინ გაქანების უნარი არა აქვს. ამიტომ, ჩვენი ხალხისათვის სწორედ გეულა\* საბჭოთა ხელისუფლება. იგი მათ განათლებას მისცემს, ისეთს, როგორც ჩვენ, მე და შენ და სხვა ჩვენიანებს უნდა. ეროვნული თვითგამორკვევა - ეს პატარა რამე ნუ გგონია. მრწამსს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ხალხი შეგნებულად წავა ერეც ისრაელში, წავა არა სანვრილვაჭროდ, არამედ თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს დასაცავად და გასაფურჩქენელად.

ნათანმა თავი დახარა და მჭერმეტყველ მოხუცს სიტყვა ვერ შეუბრუნა.

მიტინგი დამთავრდა. რუსი ჯარი ყაზარმებისკენ გაემართა. მგროვილი ხალხი თანდათან დაიშალა.

ებრაელთა დეპუტაცია სომხის ბაზრით სალოცავისკენ წავიდა.

**თავი მასაჰ**

რა უშველის ჩვენს უბანს? უკვე ერთი წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანას სათავეში ჩაუდგა, მაგრამ ჩვენს უბანს კი ჯერ არაფერი ეშველა. ისევ სიბნელე, ფანატიზმი, ვაჭრობა და ერეც ისრაელის ნატვრა. სალოცავი დილით ადრე იღება, შამაში ხალხს შახრითზე იწვევს, ზემიროს ისევ კითხულობენ, ხახამ იაყობი ისევ კანონმდებლობას ეწევა. გუჯიათ აბრამა და ბახანათ დავითა ისევ გაბაბები არიან. შათარათ იაყობი ლოცვის დავთრებს ისევ აწარმოებს და ჯამათს შენატანებს სთხოვს. მიხეილ ჩარუხჩევი და გაბრიელ ფალაღაშვილი ღარიბ ებრაელ ვაჭრუკანებს ისევ ნისიას ედავებიან. მეკინულოვი ბაზა-ზხანაში ფაიფურს და ფაიანსს, თეფშებს და ჭიქებს ისევ ყიდის, მის დუქანში მხოლოდ ის ცვლილებაა, რომ ორი გამყიდველის მაგივრად ოთხი დაუქირავებია. თალმუდ თორაში ხახამ მეირი და ხახამ მიხეილი მდიდარ ებრაელთა შვილებს თორას ისევ ასწავლიან. ხოზი თავის სასადილოში ღორის ხელით ქაშერ საჭმელებს ისევ ამზადებს. ეფროს სასადილოდან ისევ არღნისა და დოლის ხმა გამოდის. იყოთ აბრამი ისევ ყასბობს. გეგელათ ლუბას ქმარი ისევ ყალბ ბაბაბებს ამზადებს და ყიდის. ლაჯიანის შვილი ეფრაიმა, ბეცოთ ფაშა, ბაჯოთ დათიკო და ბახანათ ფაშა ყოველ საღამოს დუქნის დაკეტვის შემდეგ ისევ მამამ-

\* გეულა - ხსნა

თავრიშვილების სარდაფში იყრიან თავს და ვიღაც მაუზერისტებთან ქეიფობენ, ხან კი ფაეტონებზე ჯდებიან და კინო „პალასში“ მიდიან ხოლმე, რომ თორმეტ სერიანი კინო ერთბაშად ერთ საღამოს ნახონ.

რა ეშველება ჩვენს უბანს? მემტრედე ზეხარა ისევ მემტრედედ დარჩა, ბრმა აშილ არონა ისევ გულჩათუთული უკრავს თავის ჭიანჭურს და დუხჭირ ცხოვრებას ტირის, ყარაგიოზა ისევ მასას აცხობს და ეზო-ეზო ისევ თოჯინებს ათამაშებს და თავისი მამის მოგებულ ფულებს ამფსონებს აჭმევს. თავგების კომისარი იოსკა ისევ მარბებს ყიდის და შარვალდაფხრენილი დადის. ხახამ იოსებიინთ დათიკოს და ისაკოს თავისი ბრმა მამა ხელმოკიდებული ისევ დაყავთ ხან ლოცვაში, ხან სახლში. ფიშტოს სოლომონა ისევ ყუბელურად იგინება. ქეცოთ გაბრო, ბეცოთ არონკა და მოშკა, ჩიკონა და წრუნუნათ აბრიკო ისევ თორას სწავლობენ, ებრაული ასოების მეტი არაფერი იციან, სწავლის შემდეგ კი ისევ ჯორიოლიტეს და კოჭობანას თამაშობენ.

რა უშველის ჩვენს უბანს? არც ერთი ისრაელი სამუშაოს არ ეკიდება. ისევ არიან მდიდრები და ღარიბები. მდიდრები ქარვასლაში ვაჭრობენ, ღარიბები ზოგი ბოლჩებით სოფლიდან სოფელში დაძრწიან და ნისიად ვაჭრობენ, ზოგი კი მთელი დღე სოლოლაკში ზიან და მალალ ღმერთს სთხოვენ ფარნასას, ფარნასას... დანგრეული ქვეყნის აშენება კი არავის უნდა. ქართველი ებრაელი შიმშილით მოკვდება და შაბათ დღეს ხელს არ გაანძრევს. მის სახლს ცეცხლი რომ წაეკიდოს, შიგ რომ წვრილი ცოლშვილი დარჩეს, შაბათს იგი მაინც არ გატეხავს. ალბათ ადონაის უნდა, რომ ასე მოხდეს. გაუშვი დაენვას სახლ-კარი, გაუშვი ამოენვას ცოლშვილი, შაბათი - შაბათია. ამ დღეს სამას ნაბიჯზე მეტის გადადგმის უფლებაც კი არა აქვს, ისიც მხოლოდ სალოცავში წასასვლელად. ყოველი ებრაელი - იოზია. იოზისავით რომ ამოუწყდეს შვილები, მაინც ღმერთს მადლობას ეუბნება და მას აქვებს, ადიდებს... ებრაელი შაბათ დღეს როგორ იმუშავებს!..

სალოცავის გვერდით დიდი ეზოა. ამ ეზოში აბრამ ციციამშვილი ცხოვრობს. მის გვერდით პატარა ოთახი ნათან ელიაშვილს უკავია. ოთახში გასავლელი ადგილი არ არის. წიგნები, წიგნები... ენციკლოპედიები. ნათანი წიგნებს ჩაკირკიტებს და რაღაცას წერს. გარეთ გაზაფხულა. ოთახში ნახევრად ბნელა...

ნათანი! გამოიხედე კარში. მზე ნარიყალას თავზე წამოდგომია, მერცხლები მოფრენილან, შენი აივნის ჭერის კუთხეში ბუდეს აკეთებენ. გამოიხედე კარში, საუკუნეების განმავლობაში გაბრუებული და დაჩაგრული შენი ხალხი ისევ საღათას ძილს მისცემია და არ უნდა

**ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი აცხადებს მიღებას საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

- ივრითი
- ინგლისური ენა
- კომპიუტერული კურსები
- ფიტნესი
- ჰიპ-ჰოპი
- ფოტოსტუდია - იური მეჩითოვის ხელმძღვანელობით
- ვოკალის სტუდია - კონსერვატორიის პროფესორის ვილი გრიგორიანის ხელმძღვანელობით
- ლათინო-ამერიკული ცეკვები
- ხატვა
- ებრაული სახალხო უნივერსიტეტი
- ებრაული ოჯახური კლუბი
- ებრაული ახალგაზრდული კლუბი
- საოჯახო ბანაკები

ცნობებისათვის მიმართეთ: ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ. საკონტაქტო ტელეფონები: 2157035, 2770653

**ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი**

საბავშვო ბალი „შალომ სეზამი“ 2014-2015 წლისათვის აცხადებს 3,5 წლის ასაკიდან ბავშვების მიღებას ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდებს. პროგრამაშია: • ებრაული ალზრდა (რელიგიისა და ტრადიციების საფუძვლები) • მუსიკა • სიმღერა • ხატვა • ივრითი • ინგლისური ენა • ექსკურსიები • საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება

დაინახოს მზე, გაზაფხული და მოფრენილი მერცხლები. შენ ხომ ახალგაზრდა, უნივერსიტეტდამთავრებული და განსწავლული ხარ, ჩაავონე ამ ხალხს ახალი ხანის პროგრესულობა, ამოიყვანე ტალახიდან შენი ეზოს წინ კოჭების მოთამაშე ბავშვები, მოკიდე ხელი ამ ბავშვებს და ასწავლე ის ქართული, ის სწავლა, რაც შენ იცი და რაც შენ ვერ გამოიყენებია.

გამოფხიზლდი, ნათანი! ნათანი მაგიდას უზის, ფურცელს შესცქერის და გატაცებით იმეორებს:

**შენი ტანი ალვის ხეა, ზედ ბრონეულები ასხია... შენი ბაგე ბადაგია...**

ნათანი ძველი ალთქმიდან, ებრაულიდან ქართულად თარგმნის შელომო ჰამელის შირ-ა-შირიმს... გალობათა გალობას - თარგმნის და ისეთ რითმებს ეძებს, რომელიც ამ დიდებულ პოემას უფრო გაამდიდრებს და ახალ ჟღერადობას მისცემს.

ვინ ითავებს ჩვენი ერის მძღოლობას? ვინ გამოიყვანს მათ ცხოვრებისა და ფანატიზმის ჭაობიდან? განა ნათანი? მას ხომ არა აქვს ის ცეცხლი, ის სული, რომელიც ხალხს თან გაიყვანებს, იგი თავის ნაჭუჭშია ჩაკეცილი და უბრალო ნიავის დაბერვისთანავე, როგორც ლოკოკინა თავის ჯავშანს ეკვრება, რომ მას არაფერი მოხვდეს, რომ იგი ნიავმა არ მოიტაცოს, რომ გამჭვალმა ქარმა სუნთქვა არ შეუკრას. თუმცა, სძულს ხახმები და მათ უმეცრებს ეძახის, მაგრამ იგი თითსაც არ გაანძრევს, რომ ხალხი ამ უმეცრებიდან დღის სინათლეზე გამოიყვანოს.

იგი იდეალისტია, კანტისა და ჰეგელის მიმდევარი. იგი დოგმატიკია, მას ებრაელთა ერის ხსნა მხოლოდ პალესტინით აქვს განსაზღვრული. ჰერცლის ქადაგებებმა მას თავბრუ დახვიეს და სულ სიონისტთა პროგრამას იმეორებს, თუ როგორ ნაიყვანს საქართველოდან ახალგაზრდა ჯანმრთელ ებრაელებს პალესტინაში, იქ მათ კოლონიას როგორ ჩამოაყალიბებს, ისინი მიწის დამუშავებას დაიწყებენ და თვითონ კი მათ შვილებს ებრაულ სკოლაში მასწავლებლად დაუდგება.

ასე ფიქრობს ნათანი და ოთახიდან არ გამოდის. კითხულობს გრეცის ებრაელთა ისტორიას და მიწის კომენტარებს, რენარის ქრისტიანობის წარმოშობას და იოსებ ფლავიუსის ისტორიულ ნაწარმოებებს ბერძნულ ენაზე. ელოდება ნათანი ისევე, როგორც ელოდებიან ებრაელები საუკუნეების განმავლობაში მესიის მოსვლას, როგორც ელოდებიან ღარიბი ებრაელები სალოცავში, რომ ღმერთი მათ უბრალოდ სარჩოს საცხოვრებელს მისცემს. ელოდება ნათანი და ხელს არ ანძრევს, რომ თავის ხალხს ახალ ცხოვრებაში გზა გაუხსნას.

(გაგრძელება იქნება)

ბზე დასწრება საბავშვო ბალი მუშაობს ყოველდღე (შაბათ - კვირის გარდა) 10:00-დან 17:00 საათამდე. ზამთრის პერიოდში შენობა თბება. გათვალისწინებულია ქაშური კვება.

ცნობებისათვის მიმართეთ: ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ. საკონტაქტო ტელეფონები: 2157035, 2770653, 2772311 (დამატ. 230), 555 519733

**ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი**

2014 წლის 7 სექტემბრიდან იწვევს 6-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებს მონაწილეობის მისაღებად პროგრამაში „ატიკვა“ დამატებითი სასკოლო განათლება პროგრამა გათვალისწინებულია ბავშვებისათვის, ვისთვისაც საჭიროა დამატებითი მეცადინეობები სასკოლო განათლების სხვადასხვა საგნებში. პროგრამის მიზანია საგანმანათლებლო სტატუსისა და მოზარდთა განვითარების დონის ამაღლება.

პროგრამაშია: • მათემატიკა • ქიმია • რუსული ენა • ინგლისური ენა • ივრითი • ხატვა • კომპიუტერული კურსები • ექსკურსიები • კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, როგორცაა თეატრი, ცირკი, მუზეუმი, ზოოპარკი გათვალისწინებულია ქაშური კვება. პროგრამა ფუნქციონირებს კვირაობით 11-დან 15 სთ-მდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ. საკონტაქტო ტელეფონები: 2772311 (დამატ. 105), 2770653, 2157035

**დაგუშენებელი და რეგისტრირებულია რედაქტორი**

**გამომცემელი: ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში**

**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**

**თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, მისამართი**

**ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57**

**ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557**

**9771987898003**